



European Union

FUNDED BY THE EUROPEAN UNION
დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD - საქართველო)

პროექტი - ” სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში”

საგრანტო კონკურსი

ფერმერთა ჯგუფების/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის

სახელმძღვანელო

1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერთა ჯგუფების/კოოპერატივების წარმადობისა და პროდუქციის ხარისხის, ასევე მათი ეროვნულ და საექსპორტო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას.

პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი ღონისძიებების განხორციელებას:

- 1. ცნობიერების ამაღლება და სწავლება** - ტრენინგები კოოპერატივის ორგანიზაციული და ფინანსური მართვის, ბიზნესის დაგეგმვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიების, სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების მეთოდოლოგიის ათვისებისა და გამოყენების მიმართულებით; პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიების დემონსტრირება სპეციალური სადემონსტრაციო მოდელების მოწყობის მეშვეობით;
- 2. საგრანტო დაფინანსება პროდუქციის წარმოების, შენახვისა და გადამუშავების ძირითად საშუალებათა შესაძენად** - კოოპერატივების საქმიანობის ხელშეწყობა მაქსიმუმ 49,000 ევროს ღირებულების თანამონაწილეობითი საინვესტიციო პროექტის განხორციელების მეშვეობით;
- 3. პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრებისა და საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** - ხელშეწყობა პროდუქციის რეალიზაციისთვის სათანადო ბაზრების, კლიენტების, საკონსულტაციო, მომარაგებისა და ფინანსური მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების მოძიებაში, შესაბამისი საბაზრო კვლევების განხორციელებისა და მონაცემთა ბაზების შექმნის, სპეციალური მრგვალი მაგიდებისა და საშუამავლო შეხვედრების ორგანიზების მეშვეობით; პროდუქციის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანის, ბრენდირებისა და სერტიფიცირების მხარდაჭერა; სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში მონაწილეობის მხარდაჭერა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- 4. მცირე ფერმერთა ინტერესების დაცვა და ლობირება** - საზოგადოების ფორუმების შექმნისა და მუშაობის ხელშეწყობა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ეროვნული მთავრობა, პარლამენტი, ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფერმერთა ჯგუფები/კოოპერატივები, კერძო სექტორი მ.შ. საწარმოები,



European Union

FUNDED BY THE EUROPEAN UNION
დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



საბანკო-საფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციები, სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურები. ეს მექანიზმები ფერმერებს მიეცემს შესაძლებლობას მიაწვდინონ ხმა ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობასა და პარლამენტს, აგრეთვე მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და გადაწყვეტილების მიმღებ უწყებებსა და ორგანიზაციებზე ზეგავლენა მცირე ფერმერთა სასიცოცხლო სოციალ-ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

პროექტს ახორციელებს ორგანიზაციების ჯგუფი/კონსორციუმი, რომელშიც შედიან:

1. ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია **OXFAM** (კონსორციუმის ლიდერი სააგენტო);
2. ესპანური საქველმოქმედო ორგანიზაცია "მომრავა შიმშილის წინააღმდეგ" (**ACF**);
3. არასამთავრობო ორგანიზაცია "სოფლად თემთა განვითარების სააგენტო" (**RCDA**)
4. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

პროექტის ხანგრძლივობაა 4 წელი. პროექტი განხორციელდება საქართველოს ხუთი რეგიონის (სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი) ცამეტ მუნიციპალიტეტში:

განმახორციელებელი ორგანიზაცია	მიზნობრივი მუნიციპალიტეტები	პრიორიტეტული საწარმოო მიმართულება
"მომრავა შიმშილის წინააღმდეგ" (ACF)	ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თელავი	თხილი, ხილ-ბოსტნეული
<u>ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“</u>	<u>გორი, კასპი, ახმეტა</u>	<u>ხილ-ბოსტნეული, მევენახეობა (სუფრის ყურძენი)</u>
"სოფლად თემთა განვითარების სააგენტო" (RCDA)	მცხეთა, თიანეთი, დუშეთი	არამერქნული სატყეო პროდუქტები (კენკროვნები, ასკილი, ტყის ხილი, სამკურნალო მცენარეები და მისთ.)



European Union

FUNDED BY THE EUROPEAN UNION
დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



2. ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ

საგრანტო განაცხადების კონკურსის მიზანია გამოავლინოს ბიზნესზე ორიენტირებული საუკეთესო იდეები მცირე ფერმერთა ჯგუფების/უკვე არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

საგრანტო სქემა ითვალისწინებს ერთ, მინიმუმ 5 წევრიან, ფერმერთა ჯგუფთან/კოოპერატივთან მინიმუმ 7,000 და მაქსიმუმ 49,000 ევროს ღირებულების საინვესტიციო პროექტის განხორციელებას. აღნიშნული თანხა მოიცავს ბენეფიციარების მხრიდან მინიმუმ 26%-იან (ნაღდი ფულის სახით) თანამონაწილეობას, საინვესტიციო პროექტის ღირებულების დანარჩენი 74% დაფინანსდება გრანტის მეშვეობით.

განმცხადებელი ჯგუფი/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უნდა ფლობდეს განაცხადში აღწერილი ბიზნესიდეის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთს და/ან სამეურნეო ნაგებობას (განმცხადებელს უნდა შეეძლოს წარმოადგინოს მიწის ნაკვეთის/სამეურნეო ნაგებობის საკუთრების/გრძელვადიანი იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

განმცხადებელ ჯგუფს/სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს უნდა შეეძლოს საინვესტიციო პროექტის დაფინანსების შემთხვევაში გაიღოს ბიზნესიდეის განხორციელებასთან დაკავშირებული საბრუნავი/საოპერაციო ხარჯები.

2.1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ:

- ფერმერთა არარეგისტრირებულ ან რეგისტრირებულ ჯგუფებს, რომელთაც გააჩნიათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად ჩამოყალიბების სურვილი და ერთობლივი მუშაობის გამოცდილება;
- რეგისტრირებულ, სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე ფერმერთა კოოპერატივებს.

უპირატესობა მიენიჭება:

- ფერმერთა ჯგუფს, რომლის წევრთა რაოდენობა ათი, ან ათზე მეტია
- ფერმერთა ჯგუფს, რომლის წევრთა მინიმუმ 30%-ს ქალები შეადგენენ
- ქალთა ჯგუფებს
- ახალგაზრდა ფერმერთა ჯგუფებს.

2.2. საგრანტო დაფინანსების პირობები

გრანტის ფარგლებში პროექტი აფინანსებს:

- აღჭურვილობის, მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების (არაადმინისტრაციული გამოყენებისათვის), ტექნოლოგიების (პატენტის ჩათვლით) შესყიდვას;
- მშენებლობასთან და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მუშახელის დაქირავების ხარჯების ჩათვლით, თუ სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მთლიან მომსახურებას);



European Union

FUNDED BY THE EUROPEAN UNION
დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



- სხვა ძირითადი საშუალებების (ნერგები, მცირე მანქანა-დანადგარები, მოსავლის აღებისთვის საჭირო ხელსაწყოები და ა.შ.) შესყიდვას.

გრანტის ფარგლებში არ ფინანსდება:

- მშენებლობისთვის/რეკონსტრუქციისთვის დაქირავებული მუშახელის ხარჯები (როდესაც მშენებლობას/რეკონსტრუქციას არ ახორციელებს სამშენებლო კომპანია);
- მიწის დასამუშავებლად დაქირავებული მუშახელის ხარჯები;
- მიწის შესყიდვა ან მიწის იჯარით აღება;
- შენობების შესყიდვა ან იჯარა;
- საკონსულტაციო მომსახურება;
- საბრუნავი საშუალებები/მიმდინარე ხარჯები (ხელფასები, თესლი, სასუქი და სხვ.)

2.3. საგრანტო განაცხადების შერჩევის პროცედურა

საგრანტო განაცხადების შერჩევა მოხდება სამ ეტაპად:

I ეტაპი

განაცხადის შემოტანის მსურველებს საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია და გაიარონ კონსულტაცია განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით სპეციალური საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების ფარგლებში, რომლებსაც ატარებს შესაბამის მუნიციპალიტეტში პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია (**ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“**). შეხვედრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ წინასწარ ხდება ინფორმაციის გავრცელება სამიზნე სოფლებში განაცხადების გამოკვრის, პროექტის ადგილობრივი თანამშრომლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით.

განაცხადის შემოტანის მსურველ ფერმერთა ჯგუფებს/კოოპერატივებს საშუალება ექნებათ მიიღონ წინამდებარე სახელმძღვანელო და განაცხადის ფორმა (დანართი ა) შემდეგი წყაროების მეშვეობით: შესაბამის მუნიციპალიტეტში პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ოფისში (გორის, კასპისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებისათვის: ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ მის.: თბილისი, 0177, გაზაფხულის ქ. #16) ან/და ჩამოტვირთონ მისი ვებ-გვერდიდან (www.elkana.org.ge), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის (გორი, კასპი, ახმეტა) სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის ოფისში.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა ჯგუფი ავსებს პროექტის განაცხადის სტანდარტული ფორმას (დანართი ა) და განაცხადის წარდგენის ვადის ფარგლებში (2014 წლის 20 სექტემბრამდე), დალუქულ კონვერტში წარადგენს განაცხადს შესაბამის მუნიციპალიტეტში პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ოფისში (თბილისი, 0177, გაზაფხულის ქ. #16).

დალუქულ კონვერტზე მითითებული უნდა იყოს პროექტის დასახელება - "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში" (ENPARD - საქართველო), განმცხადებლის ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, პროექტის განხორციელების ადგილი.

შენიშვნა:

- განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია განიხილება, როგორც მკაცრად კონფიდენციალური;
- პირველ ეტაპზე ბიზნესიდეის შერჩევა არ ნიშნავს, რომ საბოლოო ბიზნესგეგმა მოწონებული და დაფინანსებული იქნება.



European Union

FUNDED BY THE EUROPEAN UNION
დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



II ეტაპი

შესაბამის მუნიციპალიტეტში პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია ქმნის შესარჩევ კომისიას, რომელიც კონსორციუმის მიერ დამტკიცებული „საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების“ საფუძველზე პირველადად შეარჩევს საუკეთესო ბიზნეს იდეების მქონე ჯგუფებს/კოოპერატივებს.

პირველადად შერჩეული ფერმერთა ჯგუფები/კოოპერატივები გაივლიან კოოპერატივის ორგანიზაციული განვითარებისა და ბიზნესის დაგეგმვის სწავლებებს. სადაც მათ მიეწოდებათ სრული ბიზნესგეგმის ფორმა და განემარტებათ მისი შევსების წესი.

შენიშვნა:

- სწავლებას უნდა ესწრებოდეს შერჩეული ფერმერთა ჯგუფის/კოოპერატივის ყველა წარმომადგენელი.

III ეტაპი

სწავლებებში მონაწილე ჯგუფები/კოოპერატივები მოამზადებენ ბიზნესგეგმის სრულ, საბოლოო ვარიანტს და წარუდგენენ შესაბამის მუნიციპალიტეტში პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას.

ბიზნესგეგმების საბოლოო შერჩევა მოხდება კონსორციუმის შესარჩევი კომისიის მიერ, შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

შენიშვნა:

- გრანტის მიღების აუცილებელი წინაპირობაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად დარეგისტრირება.

2.4. რა უნდა გაითვალისწინოთ საგრანტო განაცხადის მომზადებისას

შესარჩევი კომისია განიხილავს მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- განმცხადებელი ჯგუფის ყველა წევრი მიღწეულია 18 წლის ასაკს და არის საქართველოს მოქალაქე;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი და რეგისტრირებული წესდება;
- თითოეული ჯგუფიდან წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადი;
- საგრანტო განაცხადი უნდა იყოს განხილული, დამტკიცებული და ხელმოწერილი ფერმერთა ჯგუფის/კოოპერატივის ყველა წევრის მიერ.

განაცხადები მიიღება: 2014 წლის 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

*არასრულად შევსებული საგრანტო განაცხადი არ განიხილება!
დაგვიანებით შემოსული განაცხადი არ განიხილება!*

საკონტაქტო პირები

პროექტის კოორდინატორი გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში: დაკო მურადაშვილი- 570 10 59 46
პროექტის კოორდინატორი ახმეტის მუნიციპალიტეტში: თემურ ხორბალელი - - 570 10 59 48
ასოციაცია „ელკანა“: 0 32 2 53 64 86/ 032 2328321

დანართები: დანართი ა – პირველადი განაცხადის ფორმა